ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3315823

ნომერი: AR1505465

თარიღი : 20.05.2017

გაცემის თარიღი : 12.06.2017

გაცნობის თარიღი : 12.06.2017

შედეგი : პირობადადებული.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ქუჩა შარდენი, #14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა ზაქარეიშვილი პ/ნ 01020000591
- თბილისი ც.დადიანის ქ. N 65 კორ. 1 ბ. 92

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს #261 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 20/05/2017 წლის #AR1505465 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კრწანის რაიონში, ქუჩა შარდენი, #14-ის მიმდებარედ დროებითი სტატუსის მქონე საზაფხულო კაფეს მოწყობის

მიზნით წერილობითი ნებართვის გაცემას, გაცნობებთ, რომ საკითხი განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომაზე, სადაც საკითხს მიეცა დადებითი რეკომენდაცია. ვინაიდან თქვენ მიერ ღია სეზონური კაფეს მოწყობა იგეგმება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, დამატებით უნდა წარმოადგინოთ თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა ან იჯარის წესით მიწის აღების დამადასტურებელი დოკუმენტი; სამსახური გასცემს აღნიშნულ ნებართვას მხოლოდ იმ პირობით, რომ ორი თვის განმავლობაში თქვენ მიერ დამატებით იქნება წარმოდგენილი ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია. მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა აიტვირთოს ამავე განაცხადზე დამატებითი დოკუმენტის ველში. ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მუხლი #66-ის პუნქტი #6-ის და მუხლი #17-ის პუნქტი #2-ის შესაბამისად გეძლევათ ნებართვა ქ. თბილისში, კრწანის რაიონში, ქუჩა შარდენი, #14-ის მიმდებარედ არსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტის წინ დროებითი საზაფხულო კაფეს განთავსების მიზნით 2017 წლის 12 აგვისტომდე წარმოდგენილი ესკიზის და ფოტო მონტაჟის შესაბამისად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.